

**სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგიები
„ვეფხისტყაოსანში“
SOCIAL-POLITICAL IDEOLOGIES IN SHOTA RUSTAVELI'S
“THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN”**

ზურაბ ვახანია

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

თამარ მახარაძე

ა(ა)იპ საგანმანათლებლო-შემოქმედებითი კავშირი „ქორბუდა“
თბილისი, საქართველო

Zurab Vakhania

St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia
Tbilisi, Georgia

Tamar Makharadze

N(N)LE Educational-Creative Union “Korbuda”
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

Six political systems are described allegorically in “The Knight in the Tiger’s Skin”:

I. Arabia - educated absolute monarchy, non-imperial kingdom, based on humanistic providence of the king.

II. India - traditional absolute monarchy, the empire based on the military might/power.

III. Khataeti – a conquered vassal small kingdom, fighting for independence.

IV. Pridon’s kingdom, in dire conditions, deeply engaged in inner disorders and oppressed by foes.

V. The Kingdom of the Seas - future commercial-capitalist and limited monarchy which would transform into either constitutional monarchy or republicanism.

VI. Kajeti kingdom - technocracy, the embryo of future scientific and technological progress.

The III and the IV represented unceasing threat for Georgia (essentially, the same is true today). During the reign of king Tamar and Rustaveli, intense political confrontation occurred between the II and the V.

Rustaveli, as well as the European Renaissance two centuries later, supported the I system - educated absolute monarchy, non-imperial kingdom, based on

humanistic providence of the king. But it was too weak and soon failed just as Europe did. Presumably, this failure led to Rustaveli's exile abroad.

Just like romanticists, Rustaveli especially hated the V system (commercial-capitalist, limited monarchy). As for the VI one (technocracy), he considered it as the center of absolute evil. Rustaveli, with his profound psychologism, predicted the future of the world history: Renaissance and Humanism, the ideology of educated monarchy; the confrontation between merchants and knights; the development of capitalism and constitutional monarchy, and their close connection with technocracy.

საკვანძო სიტყვები: სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგიები, ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთაველი.

Keywords: Socio-political ideologies, The Knight in the Tiger's Skin, Shota Rustaveli.

თამარ მეფის ხანაში საქართველოში რამდენიმე პოლიტიკური იდეოლოგიის ჭიდილი მიმდინარეობდა. შოთა რუსთაველი, რომელსაც თამარის კარზე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, აქტიურად იყო ჩართული ამ პოლიტიკურ ვნებათაღელვაში. „დიდი პოეტი დიდი მოღვაწეც იყო. “ვეფხისტყაოსანში” განხილული მთავარი სახელმწიფოების “ამბავი” XI-XIII საუკუნეების საქართველოს განვითარების სხვადასხვა გზის ანალიზია და არა - სხვადასხვა რეალურ სახელმწიფოთა აღწერა. მხოლოდ ამგვარად შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ შოთა რუსთაველი თავის ქმნილებაში საერთოდ არ ახსენებს ქართველთა სახელმწიფოს. ავტორის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მის თანამედროვე მკითხველს გლობალურ კონტექსტში ესაუბროს სახელმწიფოთა მოდელების, მათი თანაარსებობისა და შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების შესახებ“ (ფუტკარაძე 2010: 73). ეს ყოველივე პოემის ალბათ მეხუთეხარისხოვანი მხარეა, თუმცა საინტერესოა ისტორიულ-სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

“ვეფხისტყაოსანში” ექვსი სამეფოა წარმოდგენილი: არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, ფრიდონის სამეფო, ზღვათა სამეფო და ქაჯთა სამეფო. თითოეული ალეგორიულად სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლოგიას განასახიერებს (ხვარაზმისა და სხვათა შესახებ არაფერია თქმული). იმხანად ზოგი ეს იდეოლოგია ცხადად არსებობდა, ზოგი კი მხოლოდ ფარულ, ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელ ტენდენციად ისახებოდა. რუსთაველი თავისი ღრმა და მახვილი გუმანით ჩასწვდა ყოველ ამ იდეოლოგიას, ალეგორიულ სამეფოებად დაგვიხატა და თავისი დამოკიდებულებაც გამოხატა. საოცარია, რომ მსოფლიო ისტორიის მომავალი კანონზომიერებაც კი განჭვრიტა.

ავტორი აშკარად არაბეთის წყობილებას ემხრობა. ეს არაერთი მკვლევრის მიერაა შემჩნეული (ფუტკარაძე 2010: 73).

ინდოეთი იმპერიაა. ის თავის შვიდ სამეფოს და კიდევ ვასალურ ქვეყნებს მოიცავს. მას დიდი მეფე, იმპერატორი ფარსადანი მართავს – „მეფეთა ზედა მპყრობელი“ (316); „თავადობა ინდოთა და მრავალთაცა მქონდა სხვათა.“ (344).“ ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა...“ (316), ხოლო

მეშვიდე ინდურ სამეფოს იმპერატორის ვასალი, სარიდანი მართავს (313). „სარიდანმა, ტარიელის მამამ, ერთი ინდური სამეფოს სუზერენმა, ის ნებაყოფილობით ინდოეთის სამეფოს წვერი გახადა (330). ამგვარი საქციელი საქართველოში „შეწყალებას“ აღნიშნავდა (ერთგულების ფუნქციით, რომელიც თავის თავში განსაზღვრულ თანამდებობას შეიცავდა), რაც ამდენად „უფრო მაღალის (უფროსის) ხელში გადასვლას“ ნიშნავს. ეს X-დან XII საუკუნემდე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის იყო დამახასიათებელი... ვაზირებს (მინისტრებს) სათათბირო ხმის უფლება ჰქონდათ - საბოლოო გადაწყვეტილება მეფეს ეკუთვნოდა. ამგვარი სახელმწიფო წყობა გახლდათ საქართველოში თამარ მეფის დროს კუბასარის ამბოხების ჩახშობის შემდეგ“ (ნოზაძე 1990).

ინდოეთში ხშირად იმართებოდა სამხედრო ასპარეზობანი. ტარიელი ამბობს: „მეფე მზრდიდა, ვითა შვილსა, სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“ (337). შდრ.: ხოლო ავთანდილის „სამამაცონი ზნენი“ როსტევეანმა მხოლოდ ბოლოს, საგანგებოდ მოწყობილი ნადირობის დროს, დაინახა და შეაფასა. ფარსადანი ტარიელს მემკვიდრედ ზრდიდა (324). ამ აღზრდის მთავარი შედეგი კი ის იყო, რომ ტარიელი დაემსგავსა „მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (324). და სამხედრო საქმეებში უაღრესად გაწაფული გახდა (344). მას ბრძოლაშიც ვერავინ შეედრებოდა - თვით ავთანდილიც და ფრიდონიც (1419). სხვა „სიბრძნეთა“ ზიარებაზე ავტორი არაფერს გვეუბნება.

ინდოეთის ერთ-ერთი არაინდური ვასალური ქვეყანა ხატაეთია, რომელმაც ურჩობა გაბედა თუ არა, მაშინვე იგემა იმპერიის მრისხანე ძალა. თუმცა დამორჩილებულ ხატაეთს და მის მეფეს ფარსადანიც და ტარიელიც ძალიან დიდსულოვნად და მოწყალედ მოექცნენ, რაც ტრადიციული მონარქიის ურყევ სიძლიერეს ადასტურებდა.

სამშობლოს შესაფერისად აღიზარდა უფლისწულიც. ნესტანს ცალკე, კომპლექსში გამოკეტილს ზრდიდა ქაჯთა სიბრძნეს ზიარებული მამიდა (335), განსხვავებით ბრძენ ვეზირთა შორის ლაღად გაზრდილი, მამის ალერსით გარემოცული თინათინისგან. ნესტანი ოჯახის წევრებსაც კი იშვითად ხედავდა. მამაშვილური სიყვარულის გამომჟღავნება თითქოს სირცხვილია, სისუსტის გამოვლინებაა - ფარსადანი ათასში ერთხელ თუ შეივლის შვილის („ქალის“) სანახავად. არაბეთში კი პირიქითაა: როსტევეანი თინათინის უნახავად ცოტა ხანსაც ვერ ძლებს (108), მეფე ასულს ეფერება და ეალერსება (107, 108, 109, 111).

ამკარაა, რომ ინდოეთის სახით ავტორმა გვიჩვენა ჩვეულებრივი, ტრადიციული აბსოლუტური მონარქია, რომელიც უპირატესად სამხედრო სიძლიერეს ემყარება. აქ მთავარია, მეფემ „რაზმთა წყობის ხელოვნება“ იცოდეს და ძლიერი სამხედრო ძალა ჰყავდეს (408, 410), სამხედრო სიძლიერეს აჩვენებდეს და ზოგჯერ არც მუქარასა და დასჯას მოერიდოს (394, 344). მაგრამ რუსთველმა გვაჩვენა, რომ ასეთი სამეფოს (იმპერიის) ძლიერება და დიდება არამდგრადი და მყიფეა: ერთი წუთითაც რომ

მოგიდუნდეს ყურადღება და მკლავთა სიძლიერე, მაშინვე თავზე დაგემხოზა ყველაფერი. გავიხსენოთ, რა დაემართა ინდოეთს ტარიელის გადაკარგვისა და ფარსადანის გარდაცვალების შემდეგ. ინდოეთის მაგალითიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ფარსადანისნაირ მონარქს შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომაც მოუვიდეს (მაგ., ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებით) და სახელმწიფოს ინტერესები მძიმედ შეილახოს.

არაბეთი კი სულ სხვაგვარი მეფის ხელშია (33). როსტევანი ღვთისგან რჩეულია არა იმით, რომ ლაშქარმრავალია და ყმიანი, არც იმით, რომ უებრო მეომარია, ანდა ენაწყლიანია; ასეთი მეფეები სხვებიც მრავალია. ეს „მაღალი“ მეფე იმავდროულად მდაბალი ანუ თავმდაბალია, მოსამართლე და მოწყალეა. სწორედ ეს თვისებები განაპირობებს იმას, რომ „განგებიანი“, ანუ მართვა-გამგეობის კარგად მცოდნეა. „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (ი. აბულაძე): 1) განგება: განმრთელება, წარმართება, განმზადება, გამართვა, მართვა, მოწესრიგება, მორთვა, განმგებლობა, გასწორება; 2) განგებულება: სიწრფოება, განკითხვა, აღშენება, სიმართლე, კეთილდღეობა; 3) განგებული: მომზადებული, კეთილწესებული, მოწესრიგებული“ (სულავა 2010).

შევადართ: როსტევანი - მდაბალი, ფარსადანი - უკადრი; როსტევანი - მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, ფარსადანი - მეფეთა ზედა მპყრობელი; როსტევანი - მეომარი უებრო, ფარსადანი - ომად მძლე, რაზმთა მწყობელი (316). ასეთივე იყო ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მეფე სარიდანი: „მეფე მებრძოლთა მზარავი... მტერთა სვრად დაუფარავი“ (317). ღვთისაგან კურთხეული და რჩეული ყველა კანონიერი მეფეა - „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“ (1). ხოლო როსტევანის პირველი ეპითეტია „ღვთისაგან სვიანი“, ანუ ღვთისაგან ბედნიერი - და არა მხოლოდ კურთხეული. არც ერთი სხვა მეფის დახასიათებისას არ იყენებს ავტორი მსაზღვრელს „განგებიანი“, არც „სვიანი“. „მეფე როსტევანისაგან განსხვავებით, მეფე ფარსადანის მიმართ საკუთრივ ავტორი არ იყენებს ზედსართავ სახელს «სვიანი» მხოლოდ შორიდან მოსული ვაჭრების ზერელე თვალთახედვით ჩანს ფარსადანი «სვიანი“ (ფუტკარაძე 2010: 74).

ინდოეთის სამეფო კარზე ვეზირები არ აქტიურობენ. ნესტანის გათხოვებაზე თათბირსაც, ტარიელის გარდა, მხოლოდ სამი დიდებული ესწრებოდა. ხოლო არაბეთში მეფე ვეზირებს ხშირად ეთათბირება; ლალი და წყნარი როსტევანი „ამო ხმით“ ესაუბრება ვეზირებს. თათბირისას კარგად ჩანს მეფის მჭევრმეტყველება, სიბრძნე (36, 37). ვეზირები გაბედულად, გულწრფელად ესაუბრებიან მეფეს. უფრო მეტიც, ეხუმრებიან კიდევ მას (60-61). საყურადღებოა, რომ ვეზირები მეფეზე არანაკლებ სიბრძნეს ავლენენ (38, 40). როსტევანის სამეფო კარზე ბრძენი, გონიერი, განათლებული ადამიანები არიან დაწინაურებულნი ვეზირებად. საქართველოში ასეთი საკადრო პოლიტიკა დავით აღმაშენებელმა დაიწყო. მსგავსი არაფერი არაა ინდოეთში.

თინათინის გამეფებისას მეფის დარიგებაში მართვის პრინციპებია ჩამოყალიბებული: გონიერება და სიბრძნე (49) - კარგი მმართველი

აუცილებლად “ცნობილი” ანუ კარგად გაცნობიერებული, განათლებული უნდა იყოს (“გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიათ” (57). მეორე სიუჟეა (50-51). როსტევეანის პრინციპია “ახსნილის” დამორჩილება არა სამხედრო ძალითა და მუქარით (როგორც ინდოეთშია), არამედ სიუხვით, წყალობით. თინათინიც ამ სულისკვეთებითაა აღზრდილი.

ანდერძის წერისას ავთანდილს სჯეროდა, რომ შეგნებული, ბრძენი როსტევეანი გაუგებდა მას და არ განრისხდებოდა მისი გაპარვის გამო (805). ავთანდილის ანდერძი „მიემართება განსწავლულ მეფეს, ბრძენს, რომელსაც შეეფერება სწორედ საღვთო სწავლების ცოდნა საეროსთან ერთად. უსწავლელებთან დაპირისპირებით ავთანდილი როსტევეანის სწავლულობას აღნიშნავს (795)“ (ბეზარაშვილი 2000).

მეფემ ისიც კი არ იცოდა, რომ ავთანდილი მას მშვილდოსნობასა და სხვა სავაჟაკო საქმეებში არ ჩამოუვარდებოდა. რატომ? როგორც ჩანს, მეფის კარზე სამხედრო წვრთნაზე მეტი ყურადღება განათლებასა და სიბრძნეს ექცეოდა. მეფე უებრო მეომარი კი იყო, მაგრამ სამხედრო ძალით არ იმორჩილებდა ქვეშევრდომებს. ამის შედეგად სამეფოში მშვიდობა და ჰარმონია სუფევდა. ამიტომაც უწოდა როსტევეანს ავტორმა „განგებანი“.

ავთანდილი არაერთხელ ამჟღავნებს განათლებულობას: არაკებით საუბრობს (255); ფრიად განსწავლულია ასტრონომიაში (957-966); კარგად ერკვევა ხელოვნებაში, უკრავს, არაჩვეულებრივად მღერის (976, 124); იცის წარმართული, კერძოდ, პლატონის ფილოსოფია (797), ქრისტიანული წიგნებიც (799). ავთანდილს კარგი ფსიქოლოგიური გუმანიც აქვს. ფსიქოლოგიის ყველა სახელმძღვანელოში უნდა იყოს, მაგ., სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ტარიელის სიცოცხლისაკენ მობრუნების ეპიზოდი (კაპანელი 1996). ავთანდილის, ამ ახალგაზრდა კაცის ანდერძი ისეთი ცოდნითა და სიბრძნითაა გაჯერებული, რომ ცხადია, ეს იმ საგანგებო, მრავალწლიანი სწავლებისა და წვრთნის ნაყოფია. თანაც ავთანდილმა არა მარტო იცის ბევრი რამ, არამედ ცოდნას ცხოვრებაშიც იყენებს (798).

ასევე განათლებულია თინათინიც (109,111).

ავტორისაზრით, სწავლა-განათლების მეშვეობით ზეციურ წესრიგთან ზიარება შეიძლება (798). მეფე კი, რომელიც ღვთისგან კურთხეულია („მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“), კარგი მმართველი ვერ იქნება, თუკი ღვთაებრივ წესრიგს არაა ზიარებული, ანუ არაა „განგებანი“. “ღვთის განგებას ვერ გულისხმავოფენ სიბრძნედაკლებულნი, ღვთის სიბრძნის სიღრმე მიუწვდომელია მათთვის, ვინც ღვთის მადლსაა მოკლებული. ყოველ ადამიანს არა აქვს ღვთისაგან მინიჭებული მადლი, იგი ეძლევათ მხოლოდ საღვთო გზაზე, ჭეშმარიტ გზაზე მდგართ, რასაც ღვთის განგებულება უდევს საფუძვლად. ვინც სიბრძნეში გაუწვრთნელი, განუსწავლელია, ვინც ჭეშმარიტ სიბრძნეს ვერ ჩასწვდება და „უსწავლელ და უმეცარ“ არის, გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, „განუგებელად უწესიან“ (სულავა 2010: 150-151). როცა რუსთველი როსტევეანზე ამბობს „განგებიანიო“, სწორედ ასეთ მეფეს გვიხატავს - განათლებულს, ღვთაებრივ წესრიგთან ზიარებულს. როსტევეანის სამეფო განგებული, ანუ კეთილწესებული იყო.

როსტევეანისნაირი ხელმწიფე და არაბეთისნაირი სამეფო, კერძოდ, განათლებული მონარქი, არის რუსთველის იდეალი. თუმცა ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ როსტევეანის, ვითარცა ადამიანის, ზოგი სუსტი მხარეც აჩვენოს. ეს უფრო ბუნებრივსა და დამაჯერებელს ხდის როსტევეანის სახეს და გვარწმუნებს, რომ ასეთი მეფის ყოლა არა მარტო სასურველი, არამედ აგრეთვე სავსებით რეალური და შესაძლებელია.

მხოლოდ განათლებულ, ანუ „ღვთისაგან სვიან“ და „განგებთან“ მეფეს ხელეწიფება ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც „თხა და მგელი ერთად მოვდეს“.

შემთხვევითი როდია, რომ რუსთველმა განათლებული მონარქიის ალეგორიად სწორედ არაბეთი შეარჩია. VIII-XI საუკუნეებში ევროპაში განათლებას სწორედ არაბები ავრცელებდნენ: იბნ-სინას (ავიციენას) მედიცინა და მეცნიერება, ალ-ხორეზმის ალგებრა, ინდური კულტურა და სხვა. მაგ., ინდური (ე.წ. არაბული) ციფრები ევროპაში არაბებმა XII-XIII საუკუნეებში შეიტანეს, ხოლო საქართველოში - XI საუკუნეში. ძველბერძნული, პლატონისა და არისტოტელეს ზოგი წიგნიც კი არაბთა მეშვეობით გაიცნო ევროპამ.

მულღაზანზარი, ფრიდონის სამეფო ძალიან განსხვავდება არაბეთისა და ინდოეთისაგან, უპირველესად იმით, რომ პატარაა (606). ფრიდონის ქვეშევრდომებს მდიდრულად და ლამაზად აცვიათ (618, 1019). თავად ფრიდონის დახასიათებისას ქვეშევრდომები მეფის მეომრულ თვისებებსა და სიუხვეს გამოკვეთენ (980, 982). „ღვთისგან სვიანობა“ და „განგებთანობა“ ფრიდონსაც დაჰკლებია. ქვეყანაში შინაომებია - ფრიდონი და მისი ბიძაშვილები ერთმანეთს ებრძვიან (623, 624). მულღაზანზარში მშვიდობა მხოლოდ მოგვიანებით, გარე ძალის, ტარიელის, დახმარებით დამყარდა. ამიტომ ეს არამდგრადი მდგომარეობაა. სად არიან ფრიდონის მოწინააღმდეგე ბიძაშვილები, ანდა მათი მემკვიდრეები? როდის წამოყოფენ თავს? ძალა აღმართს კი ხნავს, მაგრამ ძალა რომ შესუსტდეს? ფრიდონისნაირ მეფეს მანამ დასჭირდება სხვათა დახმარება, სანამ მისი სამეფო განგებული და კეთილწესებული არ იქნება.

საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არც ერთი მეფე, თვით ქაჯთა მეფის ჩათვლით, არაა ცუდი. ყველა მეფეს ქვეშევრდომნი გულწრფელი პატივისცემით ემსჭვალვიან, ყველა „ღვთისგანაა“ (თუმცა მათგან მხოლოდ როსტევეანია სვიან-განგებთან). რუსთველი ცენტრალიზებული აბსოლუტური მონარქიის ერთგული მხარდამჭერია.

ზღვათა სამეფო - ალბათ ქალაქ-სახელმწიფო, გულანშარო. აქაც მონარქიაა, მაგრამ ვეზირებზე მეტი ძალაუფლება და გავლენა ვაჭართა წრეს მოუპოვებია. ვაჭართუხუცესი უსენი, როცა მოესურვება, თავისუფლად შედის მეფესთან. უფრო მეტიც: მეფე წინ ისვამს, როგორც თანამეინახესა და თანატოლს, მასთან ერთად ქეიფობს, რაც ოდნავადაც არ უკვირს არავის (1174, 1175). შდრ.: არაბეთის კარზეც არიან დიდებულები ნადიმის დროს მეფესთან, მაგრამ ახლოს და წინ კი არ უსხედან, როგორც ტოლს, არამედ

მეფისგან მოშორებით სხედან და, როცა რაღაცის თქმა სურთ, მოწიწებით მიეახლებიან (60).

გულანშარო საზღვაო-სავაჭრო ქვეყანაა და შემოსავლის ძირითადი ნაწილი ვაჭრობით შესდის. ვაჭართა დიდი გავლენა და დამოუკიდებლობა იქიდანაც ჩანს, რომ თავდაპირველად უსენტან მიაქვთ გასაყიდი საქონელი სხვადასხვა ქვეყნიდან მისულ ვაჭრებს. უსენი ადებს ფასს და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს გაყიდვის უფლებას. ტრადიციულ სამეფოში კი ეს მეფის პრეროგატივაა. აქედან ცხადია, თუ რა სიმდიდრისა და, შესაბამისად, ძალაუფლების პატრონია უსენი, რომელიც განაგებს ვაჭრობის საქმეს. რუსთველი აშკარად უარყოფითადაა განწყობილი ვაჭართა წრის მიმართ, „იგრძნობა რუსთაველთან ნამდვილი მტრულ-კრიტიკული და ქედმაღლური შეფასება ვაჭრებისა მეომართა და რაინდთა მხრიდან“ (ნოზაძე 1990). ვაჭრები „ჯაბანნი“ არიან და არც მიჯნურად გამოდგებიან (ფატმანის ამბავი). პოემაში კაპიტალიზმის სულისკვეთების მიმართ დამოკიდებულება ნათლადაა გამოხატული: „ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა, შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა, კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“ (1198). ამის მიუხედავად, მაინც რეალურადაა წარმოჩენილი ვაჭრების ძალა და გავლენა ზღვათა სამეფოზე.

ქაჯთა სამეფო - „მტერთაგან უბრძოლველია“. ეს, ერთი მხრივ, მისი ხელსაყრელი მდებარეობის გამოა (1393). მაგრამ ქაჯეთის „მტერთაგან უბრძოლველობას“ სხვა რამეც განაპირობებდა, კერძოდ, მათი თითქოსდა ზებუნებრივი ძალა (1256). ქაჯებს საკვირველ საქმეთა ჩადენა ხელეწიფებათ: ადამიანთა დაბრმავება, ქარის ამოგდება, წყლის დაშრობა, დღის დაბნელება და ღამის დღესავით განათება (1257). ამას რომ ამბობს, ფატმანი ქაჯებზე მოარულ ხმებს იმეორებს, თორემ თავად იცის, რომ ქაჯეთის მკვიდრნი არა უხორცო არსებანი, არამედ „კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი.“ (1258). ქაჯებად წოდებული ადამიანები რომ „ხორციელანი“ არიან, ამას ისიც ადასტურებს, რომ ფარსადანის და, დავარი, ხორციელი ქალი, ქაჯეთში იყო გათხოვილი. ქაჯეთში მან შეიძინა არა ქაჯური ბუნება (თუმცა მას გამუდმებით „ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი“), არამედ ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა, რამაც ფარსადანს ნესტან-დარეჯანის მისთვის აღსაზრდელად მიზარება გადააწყვეტინა. „დავარი სიბრძნის განსახიერებაა და არა ქაჯი, ჯადოსანი, ბოროტების მსახური. ის ზრდის ნესტანს, ბრძენ, გონიერ, საღად მოაზროვნე ქალად აყალიბებს... დავარის მიერ გადაცემულ ცოდნას ნესტანი ეტაპობრივად ავლენს თავისი რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების განმავლობაში“ (ხვედელიანი 2000).

მაშ რატომ მიიჩნეოდნენ ქაჯები დაუმარცხებლებად? რატომ ეგონათ, რომ ისინი ჯადოქრობისა და გრძნეულების ძალით იყვნენ აღჭურვილნი? როგორც ჩანს, ქაჯთა სამეფო დაწინაურებული იყო მეცნიერებითა და ტექნიკით. იყენებდა ტექნიკის ისეთ მიღწევებს, რომლებზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ სხვაგან. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს კი მაშინ

ჯადოქრობად და გრძნეულებად მიიჩნევდნენ. გავიხსენოთ ვაჟას “გველისმჭამელი”. იქაც ქაჯები ფლობენ მეცნიერებას. მინდამ ქაჯებთან ტყვეობისას გველის ხორცი ჭამა და გრძნეულებას ეზიარა - “გამეცნიერდა გლეხია“. სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებში ზებუნებრივ ძალებთან, გრძნეულებასთან წილნაყარობის აღსანიშნავად გვხვდება გამოთქმა “ემმაკის მანქანები”. მაგ.: ტრფილით ატაცებული მეფე აშოტი არა “კაცებრივითა ძალითა, არამედ ემმაკისა მანქანებითა იყო ძლეულ” (გიორგი მერჩულე). ყვავ-ყორნებისგან დაფლეთილი ამირანის გული “რაღაცა მანქანებით ისევ მრთელდებოდა” (აკ. წერეთელი). სიტყვა “მანქანები” გრძნეულ ძალებს გულისხმობს „დავითიანშიც“ (146). ანუ “მანქანა”, ტექნიკის მთავარი მიღწევა და საშუალება, იგივე გრძნეულებაა. ამასვე გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერება მხოლოდ ასტროლოგიისა და ალქიმიის ფარგლებში ვითარდებოდა, ეს “დარგები” კი ხშირად ისევე იდევნებოდა ეკლესიის მიერ, როგორც მჩხიბაობა და ჯადოქრობა. „შუა საუკუნეებმა არაერთი გამოჩენილი მოღვაწე იმსხვერპლა, რომლებიც ჯადოსნად და კუდიანად სწორედ თავიანთი მეცნიერული აზროვნების გამო მიიჩნიეს“ (ხვედელიანი 2000).

ქაჯეთის გარდასხვაგანაც არიან გრძნეულნი, ანუ “გამეცნიერებულნი”. მაგ., დავარის ორი ზანგი მონა და ფატმანის მონა (1285, 1286). მაგრამ სხვაგან გრძნეულების მცოდნე ცოტაა, ქაჯეთში კი მრავალნი არიან, თანაც უფრო “გამანქანებულნი”. მაგ., როცა დულარდუხტი დის დასატირებლად გაემგზავრა, მან უსაფრთხოებისთვის თან წაიყვანა “ყოვლი მცოდნელი გრძნებისა” (1250). მაშასადამე, ქაჯეთი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით დაწინაურებული, თუმცა სხვა მხრივ ჩვეულებრივი მონარქიული სამეფოა.

მნიშვნელოვანია, რომ ქაჯეთთან ყველაზე მჭიდროდ გულანშარო ურთიერთობს. ქაჯეთის შეუღწეველ სამეფოში ვაჭრები თავისუფლად შედიან და ვაჭრობენ. ამიტომაც, რომ ავთანდილი ვაჭრულად გადაცემული აპირებს ქაჯეთში შეღწევას (1407-1408).

რუსთველის აზრით, აბსოლუტურ მონარქიას (ვაჭრული სამეფოსგან განსხვავებით) განახლებისა და განათლების გზა ხსნილი აქვს. მართლაც, პოემის ბოლოს ინდოეთიც და მულღაზანზარიც არაბეთს დაემსგავსა და სამივეში “ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს... თხა და მგელი ერთად მოვდეს”, თუმცა საჭიროებისამებრ “ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთათ და-ვე-წყრულდეს... ავთა მქმნელნი დაამინეს” (1556, 1557). სწორედ ასეთ უტოპიაზე ოცნებობდნენ შოთა რუსთველი, თომას მორი და სხვა ჰუმანისტები.

მსოფლიო ისტორიის კონტექსტი. მრავალი ქართველი და ზოგი უცხოელი მეცნიერის თანახმად, „ვეფხისტყაოსნით“ დაიწყო მსოფლიო რენესანსის ხანა (ნუცუბიძე 1976). რენესანსის ბოლოს დაიწყო ქრისტიანობის რეფორმაცია და პროტესტანტიზმი. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ებრძოდა რაინდს ვაჭარი, რაინდობა და აბსოლუტური მონარქია

ტრაგიკულად დამარცხდა და მთელ მსოფლიოში თანდათანობით ვაჭრობა და კაპიტალიზმი გაბატონდა. ეს მსოფლიო ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის უმნიშვნელოვანესი თემა იყო. ეს თემაც რუსთველმა განჭვრიტა ევროპაზე 2 საუკუნით ადრე. გულანშარო არის წინარესახე იტალიისა და სამხრეთი საფრანგეთის საპორტო ქალაქ-სახელმწიფოებისა, რომლებშიც კაპიტალიზმი დაიბადა (კაპანელი 1996). თამარ მეფის საქართველოში ვაჭრების პარტია ისე იყო გაძლიერებული, რომ თამარს პირველი ქმარი, გიორგი დოღგორუკი მათ ჩამოუყვანეს. გაძევებულმა გიორგიმ ორჯერ სცადა დაბრუნება და უფლებათა აღდგენა. ხელმეორედ, დასავლეთიდან დაბრუნებული გიორგი რუსი ქუთაისში ლამის მეფედ გამოუცხადებიათ. ვაჭრები იმედოვნებდნენ, რომ გიორგი რუსი მათი ლობისტი იქნებოდა და მათ პოზიციას გააძლიერებდა. მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა, ალბათ, ძირითადად გიორგი რუსის პიროვნული უღირსობის გამო (თუმცა არაა გამორიცხული ცილისწამება, რომელიც ვაჭართა მოწინააღმდეგეებმა გიორგის ჩამოსაცილებლად გამოიყენეს). ვაჭრების პარტიის სიძლიერეს გვიჩვენებს აგრეთვე ყულთუ ასლანის დასის საპროტესტო მიტინგები და კარვები. საქართველოში უკვე ჩასახული იყო კაპიტალიზმი და დემოკრატია.

ევროპული კაპიტალიზმი იდეოლოგიურად პროტესტანტულ ეთიკას დაემყარა (Бенер 1990: 61-207), პრაქტიკულად კი - მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და სამხედრო ტექნიკას. ვაჭარი, სამოქალაქო ინჟინერი და სამხედრო ინჟინერი მხარდამხარ მუშაკობდნენ და ეს ამჟამადაც ასეა. საკვირველია, რომ რუსთველმა ესეც იწინასწარმეტყველა: ქაჯთა სამეფოს მხოლოდ ზღვათა სამეფოსთან აქვს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა. შოთამ განჭვრიტა მომავალი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მისი მჭიდრო კავშირი ვაჭრობასთან, კაპიტალთან; აგრეთვე ის, რომ ასეთი პროგრესი, მართალია, უძლიერესს, თითქმის დაუმარცხებელს ხდის ქვეყანას, მაგრამ იმავდროულად ადამიანებს აშორებს ბუნებრიობისგან და რაღაც ეშმაკისეულთან აახლოებს. ეს კარგად გვიჩვენა აგრეთვე გოეთემ “ფაუსტის” დასაწყისში, თომას მანმა - “დოქტორ ფაუსტუსში”.

ჰუმანისტებს პროტესტანტიზმი და კაპიტალიზმი სძულდათ, ისინი აბსოლუტურ მონარქიას და ტრადიციულ საეკლესიო ქრისტიანობას ემხრობოდნენ (ასევე იყო რუსთველიც). ამასთან, ჰუმანისტები აბსოლუტიზმისა და ეკლესიის განახლებას მოითხოვდნენ, რენესანსული ეთიკისა და ფილოსოფიის შესაბამისად. მათი სოციალ-პოლიტიკური იდეალი განათლებული აბსოლუტიზმი და გაჯანსაღებული, ჰუმანისტური ეკლესია იყო (Горфункель 1980: 132-139) (ხოლო პროტესტანტიზმი სულ უარყოფს ეკლესიის ღვთაებრიობას და არც მონარქია ეპიტნავება). პირველ განათლებულ მონარქად რომის ქველი იმპერატორი, ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსი მიაჩნდათ, რომელმაც რომში “ოქროს ხანა” დაამკვიდრა.

ისტორიის გარდაუვალი სვლა სამულველი ვაჭრულ-ჩარჩული და რაციონალისტური მსოფლიოსკენ იყო მთავარი სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი აგრეთვე რენესანსის მემკვიდრისა - რომანტიზმისა.

დემოკრატიას მართლაც მრავალი ნაკლი აქვს; საუკეთესო პოლიტიკური წყობილება მონარქიაა, ოღონდ თუკი მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსია. და სწორედ ესაა აბსოლუტიზმის სისუსტე და რისკი - ის ერთ პიროვნებაზეა ჩამოკიდებული. საკმარისია, ეს პიროვნება მოულოდნელად დაიღუპოს, ანდა თავისნაირი მემკვიდრე აღარ ჰყავდეს, ანდა ერთი მძიმე შეცდომა მოუვიდეს, რომ სახელმწიფო ირევა და ფრიდონის სამეფოს ემსგავსება. მეფეს მრავალმხრივი სიძლიერე სჭირდება: გონებრივი, ნებელობითი, ზნეობრივი; გაბედულება და შეუბრალებელი მართლმსაჯულება... და უზარმაზარი პასუხისმგებლობის ზიდვის უნარი, თავგანწირვის მზაობა. საკმარისია, თუნდაც ერთი აკლდეს, რომ სამეფო დასუსტდება და დაუნდობელ კონკურენციას ვეღარ გაუძლებს. ასეთი აღმოჩნდა, მაგალითად, ფრიდონი. სწორედ ამიტომ გახდა ისტორიის მთავარი ხაზი აბსოლუტიზმის შეზღუდვა და კონსტიტუციური მონარქიის ან რესპუბლიკანიზმის დამკვიდრება. მაგრამ რენესანსი სხვა იდეოლოგიას ემხრობოდა - განათლებულ აბსოლუტიზმს: უფლისწული ღმერთისგანაა კურთხეული, თუკი მას დედ-მამა კარგი ჰყავს და კარგადაც აღზრდება, მაშინ ის საუკეთესო მეფე (სვიან-გამგებლიანი) გახდება. ამიტომ საერო პედაგოგიკა სწორედ რენესანსის ხანაში წარმოიშვა (მაგ., ჩეხი ი.ა. კომენსკი). პედაგოგიკის პირველი საზრუნავი კონკრეტულად უფლისწულის აღზრდა იყო. ეს ჩანს რენესანსის უდიდეს ნაწარმოებში „გარგანტუა და პანტაგრუელი“ (მოგვიანებით სულხან-საბამაც თავისი ნაწარმოების სიუჟეტი უფლისწულის აღზრდაზე ააგო).

რენესანსმა არ იცოდა, რომ კარგ მეფობას ისევე სჭირდება თავისებური ნიჭი, როგორც სპორტსა თუ პოეზიას. რენესანსის შემდეგ მალევე გაჩნდა „სუფთა დაფის თეორია“, რომელიც ძირფესვიანად მცდარია (ვახანია 2014). საუბედუროდ, საუკეთესო ოჯახში ბავშვის საუკეთესოდ აღზრდითაც კი ვერ გვექნება იმის გარანტია, რომ ახალგაზრდას მეფობის მრავალმხრივი ნიჭი აღმოაჩნდება და განუვითარდება - „თუ ბუნებამ არ უშველა“ (აკაკი). ამიტომ და აგრეთვე მოქალაქეთა თანასწორობის მზარდი მოთხოვნების გამო ჰუმანისტების „განათლებული მონარქიის“ იდეოლოგია იმთავითვე განწირული იყო და ის სწორედ „ვაჭრულ-ტექნიკურ“ კონსტიტუციურ მონარქიას უნდა შეეცვალა, ისევე როგორც რაინდობა - შრომის კულტს. ამიტომ წერდა ილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რაინდობის დრო წარსულს ჩაბარდა, ხოლო ახლა მამულს, ენასა და სარწმუნოებას ხმლით ვეღარ დავიცავთ - ხელში გუთანი, საანგარიშო და წიგნი უნდა დავიკავოთო. ეს ყოველივე თანამედროვე საქართველოშიც ყველაზე საჭირობოროტო საკითხებია. ილია გულითა და მიზნებით ნამდვილი ქველი რაინდი იყო (თანაც ბავშვობიდანვე). თუმცა ამ მიზნების მისაღწევად იურისტობას, ბანკირობას, წერა-კითხვის გავრცელებას ეწეოდა და კონსტიტუციურ-დემოკრატიულ მონარქიულ პოლიტიკურ პარტიას აფუძნებდა...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

„ვეფხისტყაოსანში“ ალეგორიულად აღწერილია ექვსი პოლიტიკური წყობილება:

I. არაბეთი - განათლებული აბსოლუტური მონარქია, ჰუმანისტურ „გამგებლიანობაზე“ დამყარებული, არაიმპერიული სამეფო.

II. ინდოეთი - ტრადიციული აბსოლუტური მონარქია, სამხედრო სიძლიერეზე დამყარებული იმპერია.

III. ხატაეთი - დაპყრობილი ვასალური მცირე სამეფო, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი.

IV. ფრიდონის სამეფო - ყველაზე უარესი ვითარება, შინააშლილობაში ჩაფლული და მტერთაგან დაჩაგრული.

V. ზღვათა სამეფო - მომავალი ვაჭრულ-კაპიტალისტური, შეზღუდული მონარქია, რომლისგანაც ან კონსტიტუციური მონარქია ან რესპუბლიკანიზმი განვითარდა.

VI. ქაჯთა სამეფო - ტექნოკრატია, მომავალი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ჩანასახი.

საქართველოსთვის განუწყვეტელი საფრთხე III და IV იყო (ამჟამადაც არსებითად ასეა). თამარ მეფის ხანაში მძაფრი პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა II-სა და V-ს.

რუსთველი, ისევე როგორც 2 საუკუნის შემდეგ ევროპული რენესანსი, I-ს ემხრობოდა (განათლებული აბსოლუტური მონარქია, ჰუმანისტურ „გამგებლიანობაზე“ დამყარებული, არაიმპერიული სამეფო). მაგრამ ეს I ძალიან სუსტი იყო და მალევე დამარცხდა, ისევე როგორც ევროპაში. სავარაუდოდ, მეტწილად ამ დამარცხებამ გამოიწვია რუსთველის გადახვეწა უცხოეთში.

ისევე როგორც რომანტიკოსებს, რუსთველს განსაკუთრებით V (ვაჭრულ-კაპიტალისტური, შეზღუდული მონარქია) სძულდა, ხოლო VI (ტექნოკრატია) მთლად სამყაროსეული ბოროტების კერად მიაჩნდა. რუსთველმა, თავისი ღრმა ფსიქოლოგიზმით, მსოფლიო ისტორიის მომავალი იწინასწარმეტყველა: რენესანსი და ჰუმანიზმი, განათლებული მონარქიის იდეოლოგია; ვაჭრის ბრძოლა რაინდთან; კაპიტალიზმისა და კონსტიტუციური მონარქიის განვითარება და მათი მჭიდრო კავშირი ტექნოკრატიასთან.

დამოწმებული ლიტერატურა

ბაზერაშვილი 2000: ბაზერაშვილი ქ., „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სიყვრული და „ტურფა საჭვრეტელი“. რუსთველოლოგია, I. თბილისი, 2000.

ვახანია 2014: ვახანია ზ., განათლების ფსიქოლოგია. თბილისი, 2014.

კაპანელი 1996: კაპანელი კ., ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბილისი, 1996.

ნოზაძე 1990: ნოზაძე ვ., ფეოდალიზმი „ვეფხისტყაოსანში“. თბილისი, 1990.

ნუცუბიძე 197: ნუცუბიძე შ., რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. თბილისი, 1976.

რუსთაველი 1986: რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“. ნ. ნათაძის რედაქციით. თბილისი, 1986.

სულავა 2000: სულავა ნ., განგების რუსთველური კონცეფცია. რუსთველოლოგია, I. თბილისი, 2000.

ფუტყარაძე 2010: ფუტყარაძე ტ., „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ეთნოსები და სალაპარაკო ენა. ჟურნალი ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები. თბილისი, 2010.

ხვედელიანი 2000: ხვედელიანი თ., დავარის სახის ინტერპრეტაციისათვის. რუსთველოლოგია, I. თბილისი, 2000.

Вебер 1990: Вебер М., Избранные произведения, Москва, 1990.

Горфункель 1980: Горфункель А.Х., Философия эпохи Возрождения. Москва, 1980.